დაბაკუნებდა და ყმები სმენათ გადაიტყველდა. ახლა კი დრო შეიცვალა, წახდა, გაფუტდა. წინანდელი ყმა ახლა ფხის დაბაკუნებას კი არა, მოფერებასაც აღარ ემორჩილება, მეტს ქრას თხოულობს, თავის ღონეს მეტათ აუხსებს და თან-და-თან უკეთესათ ცხოვრებას ცდილობს; თუ ვერ მოულოვდა, ქალაქში გაზრის და იქ იწყებს მუშაობას. მარა ეს ხომ ბურჟუაზიისთვის არის სასარგებლო? იტყვი თქვენი. მართალია. რამდენადაც ქალაქში მუშა მატულობს, იმდენათ მუშის ქირა კლებულობს, ქალაქის ზატონი კი ბურჟუაზია და მამასადამე, მუშის ქირა ვითაუბდაც მისთვის; სასარგებლოა; ავკარათ, ის, რაც მემამულეს აკლდება, მას ემატება. თითქოს ამ მიზეზით ბურჟუა აგრარ-რეპეციონერი ამ შემთხვევაში ვერ უნდა მოკრებულყოფი, მარა კომპრომისის აბა რაღას ჰქრია. კომპრომისისა, როცა ორი მძარე ერთმანეთს უთმობენ და საკუთარ ინტერესებზე ცოტა ხელს იღებენ. ლიბერალ-კონსერვატორის შეთანხმებაც ერთნაირი კომპრომისისა. მუშის ქალაქში გამზარდება, მართალია, ბურჟუაზიისთვის სასარგებლოა, მარა ამასთან, მისთვის ძალიან საწუხარა შედეგაც ახლავს. სოფლიდან ჩამოსული მუშა ქალაქის მუშებს ეცნობა, მათ ორგანიზაციაში შედის, კითხულობს, სწავლობს და სოციალ-დემოკრატიის მოძინე ხდება. ეს კი, როგორც ბურჟუაზიისთვის, ისე კონსერვატორისთვის, უბედურება არის. წითელი ეცხაი იზრდება. თუ მუშა ისევ სოფლათ დარჩება და თავადის გველნას ქვეშ იქნება, სხნებულ ეეშას ზრდა მოაკლდება და საცხოვრებელი წყალი ვითომ დაუშრება. ამასთან თვით ქალაქში მუშათა რიცხვი ძალიან რ ძალიან ბევრია. ბურჟუაზიას მტრი მუშა ხელი აღარ ესაჭიროება და მუშებ შორის უფრო მეტი კონსერვაციის გაძლიერება სასარგებლოთაც აღარ მიანია. მამასადამე, აქ ბურჟუაზიის და ბრწყინვალე წოდების ინტერესები ასე თუ ისე შეერთებულა. — რა უნდა კიდევ კონსერვატორს? მას ბევრი რამე უნდა. მას უნდა სახელმწიფოს მმართველობის სათავეში ყოფნა, ეს უნდა ნაციონალ-ლიბერალსაც; ფლობელობას იყოფენ და ერთიანდებიან. კონსერვატორი იძახის: ხალხი ძირს, მთავრობა წყევითა. ნაციონალ-ლიბერალიც ამასვე ამბობს. აგრარ ჯიბის გასქელება უნდა. ბურჟუაზიასაც, რასაკვირველია. ვინ უნდა ვაძქვლოს ეს ჯიბები? ხალხმა. და აი, Sammlung, Sammlung-ი, დამახებ ლიბერალ-კონსერვატორმა და ერთმანეთს სუყარულით გადახებიენ. მაღლა ჩვენ, ძირს ოპოზიციარა, დალიონენ მათ და ხელი ხელში გაყრილი შეტურდენ არჩენების მოკრეში.

მარა მორჩეის ტალღები ძლიერი გამოდგა. ოპოზიციამ მაგათ შემოპკრა და გასკენილი მკლავები



ბეგრ ადგილას ვაჰკლიჯა. მოკავშირენი წყალმა ჩაძირა. თითქმის ყველანი დაიღრჩობოდნენ, რომ ბოლოს, დამატებით, არჩევნებში, ისევ ოპოზიციის უმრავლესობას არ ეშველა და განსაკუთრებისაგან არ ეხსნა. არჩევნების დასრულებისას მოკავშირენი ამოფორთხდნენ მოარევიდან, როგორც იქნა, ვასერილი-გაწუშპულინი და თელავებზე ცრემლები-მორაყელონი. მათი ჯარი შეთხვლდა. რამდენიმე მოკავშირე მოარევიში ჩარჩა და განისვენა „წილისა შინა“. 1893 წელს 100 კონსერვატორი იქნა არჩეული. მას შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში მათ აკლდებოდათ ღ აკლდებოდათ, ასე რომ რეინსტაგის დათხოვნის დროს კონსერვატორ დეპუტატთა რიცხვი 88 იყო. ახლა კი მათი რიცხვი 82-ზე ჩამოვიდა. ნაციონალ-ლიბერალები ორმოცდა ათიდან ორმოცდა ცხრაზე ჩამობძანდნენ ხოლო ანტისემიტები თექვსმეტიდან ათზე თუ თორმეტზე.

სამავიეროთ ოპოზიციის ძალამ იმატა. ვინ არის ეს ოპოზიცია? „წესიერების პარტიებს“ (Ordnungsparteien) ე. ი. ნაციონალ-ლიბერალებსა და კონსერვატორებს ოპოზიციით ცენტრ, თავისუფალ მოაზრენი და სოციალ-დემოკრატია მიანიათ. ყველა ეს პარტიები ერთ ტაფაში მოსაქცევი არ არიან, მარა „წესიერებს“-ს მოკავრულინი ამას არ დასდვენ. მათ ცენტრიც ოპოზიციისაში შეჰყავთ და თითქმის რადიკალურ პარტიათ თვლიან, იმ ცენტრს, რომელსაც რადიკალიზმისა ერთი მისხალიც კი არა ცხიარა. მართალია, ნაციონალ-ლიბერალებთან შედარებით ცენტრი უფრო წინ წაწეული პარტია, მარა ეს მხოლოდ შედარებით. ვინ არის ცენტრი? ეს არის კლერიკალური პარტია და განსაკუთრებით კათოლიკე ამომჩრეელების წარმომადგენელი. სახელმწიფო მართვა გამეგობაში მას კათოლიკური ეკლესიის გავლენის გაძლიერება უნდა. მისი თვეა ლტოლიცლება ესაა. ეკონომიკურათ ვითომ წერილ მესაკუთრების ინტერესებს იცავს, მაგრამ არა ყოველთვის და არა სისტემატიურათ, საცა ეკლესიური ინტერესი წერილი მესაკუთრის ინტერესის მსხვერპლათ მოტანას თხოულობს, ან ფროსანი ცენტრი იმ მსხვერპლს უკან დაუხეველათ იმეტებს. ასე იყო, მაგალითათ, ამ წლის დამდგეს ცენტრის მოქმედება საფლოტრა კანონ-პროექტის შესახებ. აქ მან ხალხის ინტერესი გასცა და მთავრობას რეინსტაგის ფარდებს უკან მო-

ურიგდა. მთავრობას მოთხოვილი გემები მისცა და მთავრობაც თავის მხრით წყალობას დაჰპირდა. საფიქრებელი იყო, რომ ხალხისთვის ასეთი ღალატით ცენტრს არჩევნებში ზარალს მოუტანდა და ამომჩრეელებთან ენტიბარს გაუტეხდა; მარა საქმე ისე მოეწყო, რომ ეს სამიოვე თვის წინათ ცენტრისგან ჩადენილი ცოდეა უკან მიიბოლა და მის მავიერ სხვა, უფროა მნიშვნელოვანი, კითხვა წამოდეა. ცენტრის ერთმა წევრმა გაზეთში გამოაცხადა, რომ მთავრობა საარჩევნო უფლების მოსპობას აპირებდა, მე ეს დაბეჯითებით ვიცოა. საარჩევნო უფლების მოსპობა, რასაკვირველია, იგივე ხალხის უფლების მოსპობა და ხალხის დამხუნეგება. ასეთი ამბავი აქ ხომ ჩუმათ ვერ ჩაივლიდა. და, აი, ატყდა ყუმბარების სროლა. სოციალ დემოკრატია ზარბაზნის ზარბაზანზე ცლიდა, მთავრობას და მის მისწრაფებას მიწასთან ასწორებდა. მთავრობის რეაქციონურ პლანების წინააღმდეგ ვაჰკოდა, თავისუფალი მოაზრეც და ცენტრიც სხენებული უფლების დასაცველათ თავგამოდებით იბრძოდა. ამ ვარემოებამ ამომჩრეელებს ცენტრის ცოდეა მიაციწყა და ისევ გული მოუღებო. ცენტრმა ამით ისარგებლა და არჩევნებშიაც ღელო გაიტანა. წინაღულთან შედარებით ახლა მას რამდენიმე ახალი დეპუტატიც მიემატა. წარსულ რეინსტაგაში 101 ცენტრის წევრი იყო. ახლა ეს რიცხვი 103 თუ 105-ზე ავიდა.

მარა მუშათა პარტიასთან შედარებით ცენტრის გამარჯვება სრულიად არაფერია. არჩევნებში ყველა პარტიები ერთმანეთს ებრძვიან, გარდა „მოკავშირეთა“, მარა მუშათ პარტიის მიმართ კი ყველანი შეერთებულნი არიან და მის დამარცხებას ცდილობენ. მიუხედავათ ამისა არჩევნებს შედეგათ 32 სოციალ-დემოკრატის არჩევა მოჰყვა და დამატებით არჩევნებში კი მათგან 101 მონაწილე იყო. ამ ვარემოებამ ყველას გული გაუხეთქა. ყველა პარტიებმა კიჟინი მორთეს თუ არ შეგერთდით, ეს არის — სამშობლო იღუპება. Nieder mit den Umstürzler! ძირს მემამბოხენიო. გრაფმა პოზაღდესკიმ განსაკუთრებული საარჩევნო ციკკულიარი გამოცა და ყველა პარტიებს ურჩედა, დამატებით არჩევნებში, საცა მპირდაპირე სოციალ-დემოკრატი იყო, ამ უკანასკნელის მოწინააღმდეგისთვის ჩაეგდოთ კენჭი, პარტიის განუჩრეველათ.

პარტიათა ასეთი შეერთება განსაკუთრებით სასარგებლო თავისუფალ მოაზრებებისთვის გამოდგა. თუ არჩევნებში მათგან მხოლოდ 2 გაეღდა. სამაგიეროთ დამატებითი არჩევნებიდან 48 იშვა. წინანდელ რიცხვს მათ მაინც ვერ მიადრწეს, მარა სოციალ დემოკრატის წინააღმდეგ პარტიების შეერთება რომ არ მომხდარიყო, მაშინ თავისუფალ-მოაზრებების საქმე კიდევ უარესათ წაერდებოდა. ამასთან მათ პარტიას თვით სოციალ-დემოკრატიაც ეხმარებოდა. საცა თავისუფალ მოაზრებს მოწინააღმდეგე სხვა პარტიებიდან ჰყავდა, იქ მუშა ხალხი კენჭს ყოველთვის თავისუფალ-მოაზრეს აძლევდა. ამ გვართ ამ უკანასკნელს ყოველ მხრიდან შეეწეობა ეძლეოდა. ამიტომაც ახლა რეპუტაციონერები ცოტა ეშმაკუთხა და ცინიან თავისუფალ-მოაზრებს: თქვენ თუ არ გაწყვიტოთ და სოციალ-დემოკრატამ არ შთაგნთქათ, ამას ისევე ჩვენ გვიმადლიდეთო. მარა თვით შეერთებულ პარტიებისთვისაც არ ყოფილა საზარალო ეს შეერთება. თუ ნაციონალ-ლიბერალები 49 დე ახობდენ, კონსერვატორები 82-დენ, ეს ისევე იმავე შეერთების წყალობით. ყველგან, საცა არჩევნებში მათი მოპარდაპირე სოციალ-დემოკრატ იყო, ყველა პარტიების ხმები ან ლიბერალისკენ მიდიოდა, ან კონსერვატორისაკენ, ხოლო სოციალ-დემოკრატისაკენ — არას დროს.

ეს უკანასკნელი ერთთა ერთი პარტია არის რომელც მხოლოდ თავის ძალ-ღონეზე იყო დამყარებული. მისი შექმნე და მშველელი სხვა არავინ იყო. მას ყველა პარტიების იერიშისთვის უნდა გაეძლო და ლელო საკუთრის ძალ-ღონით გაეტანა, ასეთი გარემოების მიხედვით გასაშტერებელია ის შედეგი, რომელსაც ამ პარტიამიძლია. დამატებითი არჩევნებში 34 სოციალ-დემოკრატ იქნა არჩეული. წინანდელ რეისტრებში მათი რიცხვი 18 იყო, ახლა ეს 56-ზე ავიდა. მაშასადამე, პარტია რეისტრებში 8 ახალი მანდატით გაძლიერდა.

ეს გაძლიერება ძალიან მნიშვნელოვანია. მარა კიდევ უფრო ყურადღების ღირსია ხსენებული პარტიის ზნეობრივი გამარჯვება. მან ყველა პარტიების შეერთებულ ძალის გაუძლო და გაიზარდა, უკან არ დაუწყევია. გაიზარდა და არა მარტო დემოკრატების რიცხვით, არამედ მომხრეების რიცხვითაც. და თავი საქმეც ხომ ამ მომხრეების გამარჯვება. მისი მომხრე ამომრჩევლების რიცხვი წელს ორი

მილიონი და 120 ათასი კაცი გამოდგა. 1898 წელს კი 1 მილიონი და 786 ათასი იყო. მაშასადამე 5 წლის განმავლობაში მომხრე ამომრჩეველთა რიცხვი 334 ათასით ანუ მილიონის ერთი მესამედით გაზარდილა. სხვა ყველა პარტიების ხმების რიცხვი გაზარდის მაგიერათ უკან წავიდა. და ეს კი, რასაკვირველია, თვით პარტიების სიკვდილის დასაწყისს ნიშნავს...

უადგილობის გამო აქ აღარ ვინსენიებთ წერილ-მან პარტიებს. საზოგადოთ გერმანიის პოლიტიკურ პარტიათა რიცხვი ძალიან დიდია. მათი შინაარსის და ძალ-ღონის გარკვევა და ურთიერთობის დახასიათება მეტს დროს და ადვილს მოითხოვს. ამაზე შემდეგში უფრო ვრცელი წერილები გექმნება.

ახლა კი ნათქვამიდანაც მკობველი დაინახავდა, რომ რეპუტაციონერებს იმედი არ გაუშაროთლდათ და მათმა „კავშირმა“ უნაყოფოთ ჩაიარა. ახალს რეისტრებში დაკლებული ძალით შემოდინა აგრარ-კონსერვატორები და „პარტიოტ“-ლიბერალები, თავისუფალ მოაზრეები თითქმის წინანდელ ღონეზე დგანან. სამაგიეროთ გაზრდილია ცენტრი და კიდევ უფრო გაზრდილია სოციალ-დემოკრატია. სიმრავლით პირველი ადგილი ისევე ცენტრს უკავია. როგორც წარსულ რეისტრებში, ახლაც მას სარეისტრაგო სასწორი ხელში უჭირავს და რეისტრების აქეთ თუ იქით წასვლა მის გადაქან-გადმოქანებაზე ჰქიდა. სახელი „ცენტრი“ ამ პარტიაზე სწორეთ ზედ გამოჰტილია ეს მარცხნივ ე. ი. რადიკალობისკენ ვერ გადმოიწევს, მარა რეპუტაციონერებსაც ვერ მიგმზრობა. ამის გამო ახალი რეისტრებისთვის რამე დიდი სიკმეების გაცემა ყოველად შეუძლებელია. ის ვერ დაადგება რადიკალობის გზას და შესაძნევე რეფორმებს ვერ შემოიღებს, მარა მეორე მხრით უკან სვლასა და რეპუტაციონურ წესების დაკანონებასაც ვერ მოახერხებს. და აქაურ სოციალურ ბრძოლაში, ჩემო მკითხველო, ესეც ცოტა რასმეს ნიშნავს.

ფ. პარტიკალი.

ა ბ ს ი.

(მოთხრობა)

(გ ა გ მ ძ ე ლ ე ა \* )

III.

ასონ პირბადიანი გახლდათ მაძიებელი აზნაური; — იგი არც აზნაური იყო და არც გლეხი, ორივეში კი ფეხი ეღვრა ამიტომ მას სოფელში „გლეხ-აზნაურას“ ეძახდნენ. „ვისთან იყავი შენ გუშინ?“ — გლეხ-აზნაურასთან. „ვენ გყავდა სტუმრათ?“ — გლეხ-აზნაურა! ამბობდნენ კვირიკელები და, მართლაც, სხვა მრავალ გლეხ-აზნაურებში, ისაონი ნამდვილი წარმომადგენელი გახლდათ თავის წოდებისა. — ის გლეხთან გლეხი იყო, აზნაურთან — აზნაური. — ყველამ იცოდა რა კაციც გახლდათ ისაონი და ამიტომ მას ყველა შესაფერ პატივს ცემდა: თუ საღმრეთო იქნებოდნენ მიპატივებული, ყველაზე უფრო აზნაურებს აღვუკრძალებდნენ, მერე ისაონს, დასასრულ — გლეხებს; ეკლესიაშიაც ყველაზე წინ აზნაურები დგებოდნენ, მათ მერე ისაონი და სულ უკან გლეხები; ღვთაობა პირველად აზნაურებს უკმედა, მერე ისაონს და ბოლოს გლეხებს. ისაონის განსაკუთრებული ღირსება ყველაზე უფრო კარგათ გამოიჩინა მაშინ, როცა კვირიკეთში ერთი ალიაქოთი ატყდა. — კვირიკელი გლეხები და აზნაურები ერთხელ რაღაზედაც წაიხტნენ, დააღვს კეტებს ხელი და ერთმანეთი კარგათ მიბეგვეს; ამ დროს ისაონი შუაში მოკმეღებდა: ხან ერთ გამარჯვებულ მხარეს მივედღებოდა და ხან მეორეს; — მასაც ყველგან ადგილი ჰქონდა. მაგრამ დრო გამოიცვალა, მთავრობამ უფრადლება მიაქცია ამ ზღვამეტ, შუაში გამოქვეყნულ წოდების და გამოაცხადა: ვისაც რამ ძველებური სიგელ-საბუთები გექნესთ, წარმოადგინეთ და აზნაურობა დამტკიცეთ. ამა სერი მაშინ იყო! გლეხ-აზნაურები ჯარასაიეთ დატრიალდნენ: გადმოაგრიეს მიმჭვარტლულ-მიმტკიცული თაროები, გადმოაბრუნეს მამა-პაპისეული სკივრები, შეძვრენ თახჩებში, გადმოაქათეს იქაურობა ერთი სიტყვით შეიქნა ვაცხარებული ძებნა. ეძებდნენ აზნაურობას. არა, აზნაურობის საბუთებს!.. საღ? სკივრებში და თახჩებში! სხვა მრავალთა შორის ისაონ-

მაც გამოძებნა ძველ სკივრებში შენახული რაოდენ ლურჯ-სქელ ქალღღებ დაწერილი საბუთები, დახვია ხელი ყველას და სიხარულით გააქანა ქალაქისკენ „დგორიანსკი დეპუტატ სობრანიაში“, რომლის შენობა ასწავლა მას ერთმა ქალაქში მომუშავემ. აქ რაც შეტე იყო, ისაონს უყავნე დაუბრუნეს, ხოლო რაც საჭირო, იმისი კი უთხრეს: წადი, ეს საბუთები ვისმე ამოაკითხინე, გადაათარგმნინე რუსულად და მერე თხოვნასთან ერთად, რომელზედაც მარკები უნდა იქნეს დაკრული, წარმოადგინეო. „ვი შარს!.. თქვა ისაონმა: მაგ ოჯახ-ქორეგმა, კითხვა არ იციან თუ? აბა რაღა სხვაგან წაიღილო?.. რაღა ექნა! წაიღა და ისაონი და თან, რასაკვირველია, ქალღღებიც წაიღო. მიაქეს მარა ვის მიუტანოს, არ იცის. ჩაფქრებულმა და დანაჯვრებულმა გაიარა სამიკიტნოს წინ. იქ ერთი რუსულად ჩაქმული ახალგაზდა კაცი დაინახა, რომელიც რკინის სვეტს მიჰყულებდა, მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაეყო, მარჯვენა უბეში, მარჯვენა ფეხი მარცხენაზე გადაეფდა და გულ-მოდინეთ იცქირებოდა სამიკიტნოში, საიდანაც მსუქანი შემწვარი გოჭი მოიხანდა. ახალ გაზღამ, ისაონს რომ შეხედა, მიძახა: — მოითმინე, ზატონო, მოზარძანდი! თქვე უთოთა აზნაურობის საბუთები გაქვთ ამოსასაკითხი და გადასათარგმნე? ისაონს გაუნახდა. შორიდა მოიხანდა ქული და ჯერ სიტყვაც არ ეთქვა, რომ საბუთები უბიდან ამოიღო, მისცა ახალგაზდას და უთხრა:

- საბუთები მაქვს, მარა არაინა მყავს ამოკითხი და მთარგმნელი.
- აი, მე ვთარგმნი მაგისთანაგებს, თქვა პალტასანმა და სასუთებს დაუწყო თვალთერება.
- მართლა, შენი ჰორიმე? შეეკითხა ალტაცხული ისაონი.
- როგორ თუ მართლა! გუშინაც ოციოდე კაცი გავისტუმრე შენი თანები, იმათაც საბუთები ჰქონდით გასაკეთებელი.
- გუჟყვით კი?
- გუჟყვით და არა?.. იმისთანები გამიკეთებია!..
- აბა, შენი ჰორიმე, იცხონე სული და ჩემი საქმეებიც გააკეთე, შევედრა გულ-აჩქროლებული ისაონი.

\*) ის. „გადა“, № 8.

— გავაკეთებ რასაკვირველია.



— კი, შენი ჭირიშე! აბა ფასი?

— ფასი... შენიც იცი, რა ღირს ამაგების გაკეთება! სულ ცო...ტა—ცოტა რომ ეთქვათ, .. აქ მან მიიღვა შეუბღბე თი:ი, კიდევ გადაზხნდა საბუთებს და განაგრძო: ამდენი საბუთების გაკეთება ღირს, სულ უკანასკნელი, თხუთმეტი თუმანი!

იასონს ამ სიტყვების გაგონებაზე ტანში საშიშროება გააზრიალა... იმას ეგონა, ამაგებს გაკეთებაში ორ-სამ მანეთზე მეტს არე-ნ მოხოვსო. ახლა რა ექნა, აღარ იცოდა...

— მართალი მოთხარი, თუ კაცი ხარ! შეეხეწეწა იასონი, რომელმაც ამ ღროს, გულის გასაყეთებლათ, იფიქრა, იქნება ხუმრობასო.

— მართალი ის არის, რაც ეთქვი, იმაზე ნაკლებ ბარ შეიძლება!

იასონს იმედი დაეკარგა. ტანზე ციკმა ოფლმა დაუარა, რაკა წარმოიდგინა, რომ ას ორმოცდაათი მანეთი გადახდდა სამი მანეთის მაგიერათ, როგორც ის აქამდის ჰეიქრობდა. კიდევ შეეცადა, იქნება დაიკლოსო, მარა ამაოთ; იასონს ეგონა თუმნობით დაიკლებსო და ის კი მანეთობითაც არ იკლებდა!.. რაღა გზა იყო! წაივდა სხვასთან, იქნება სხვამ უფრო როგორც ფასად გამოიკეთოს საქმეებიაო. წაივდა და შეხედა იმ გვარსავე ახალგაზდას, იქეთსავე ადგილს მდგომარესს. ამანაც მიიპაზა:

— მგონი საბუთები გაქვს ამოსაკითხი და სათარგმნი? იასონი მობრუნდა და საბუთები უჩვენა.

— უა!.. რა ბევრი საქმეა!.. მარა ვიწრომებ და გეაქეთებ, მხოლოდ ოცი თუმანი კი ეღირება! იასონს ამ სიტყვებზე თვალები დაუბნენდა, გული შეუღონდა და კინაღამ წაიქცა...

— აგერ სხვა თხუთმეტი თუმნათ მიეცეთებდა და შენ კი ოც თუმანსა მოხოვთ? გულ-აჩივლებულათ თქვა იასონმა.

— ეჰ, ჩემო მეგობარო! ის რომ თუთხმეტ თუმნათ მიეცეთებდა, შენი იერი გაკეთებულად იქნებოდა, „კიასა ყიდდა ძვირათ ჯობს, არ დაშურება ფასისო“, ხომ გაეგონანია!

— კი გამოგონია, თქვა იასონმა.

— ზო და თუ გაგიგონანია, ეს მარტო იმიტო კი არ არის ნათქვამი, რომ გაეგონო, უნდა დასრულო კიდევ!

— რაღა გაუწყობა! გადასწყვიტა იასონმა: გაეყიდი ადგილს და მიეცემ ოც თუმანს! მართალია ბევრი ფული იხარჯება, მარა თუ საქმე გაკეთდა, იმას რომელი ფული აჯობებსო?!—დალტოვა საბუთები და გასწია სოფელში ადგილის გასაყიდათ. გაჰყიდა ადგილი, აღებული ფული—ოც-და-ათი თუმანი—წამოიღო ქალაქში, ზოგი სახარჯათ მომინდებო, ჩა-

აბარა იმ კაცს ოცი თუმანი, გამოართვა „გაკეთებულს“ საბუთები და თავის მარკებიტურთ წარადგინა სადაც ჯერ იყო. უფროსმა რომ იასონის საბუთები ნახა, ერთი გულიანათ გადინარხნა, გადისროლო და ციკათ უთხარა იასონს თანაჯიშინს პირობით: „არ ვარცა, კულათ არის ნათარგმნი, ხელახლა გააკეთებინე ვისმეო“. საწყალი იასონი!.. აგერ სამი-ოთხი კირია, რაც ქალაქშია, ნაყიდ პურ-ლიწონოზე, როცა ამას უნდოდა საბუთების წარადგენა, მაშინ უფროსს არ ეცალა: „ზეთირი, ზეთირი პოკალუსტაო“, ემნებოდა; ეს „ზეთირი ზეთირი“ აღარ გამოიღია, იასონს კი ამასობაში ის გადაწარჩენი ათი თუმანიც შემოგხარჯა. ახლა რაღა ქნას? ფულიც დახარჯა, ევრც საქმეები გაკეთა. მაგრამ უცბათ გული მოიბრუნდა და გადასწყვიტა: ძვალზე რომ დაედგე, ამ საქმეს მაინც გაეყევი და ბოლომდის გაეიტანო. წაიდა უკეთესი მთარგმნელის საძებრათ. გზაში ერთმა \_ღღოთან-მადლიანმა\_ უთხარა: ეგ საბუთები ჩემო ძმაო, ძველთაგანია, ქარავმებით დაწერილია და ძნელი ამოსაკითხ-სათარგმნი! მაგების შემსრულებელი კაცი აქ არაფერ არის, —ისევ „პეტერბურში“ უნდა გავზავო და იქ ამოაკითხავენ ნასტავლებიო“. იასონი ახლა არაფითარ ხარჯებს აღარ ერიდებოდა, ოროდენ კი საქმე რიგინათ წასულიყო. შეეცოხა: ნეტა ვინ გზავნის ამ ქალაღდებს „პეტერბურშიო“?—აი მე! მაგისთანეგს სულ მე გვზავნი და იქიდანაც მივე მომდისო. ვახარებულმა იასონმა ჩააბარა მას საბუთები, ფულათ მოურჩიდა ოც-და-ათი თუმნათ და გასწია სოფელში ადგილების გასაყიდათ, გაჰყიდა საუკეთესო ადგილი ნახევარ ფასათ, რომელშიაც აიღო ხუთასი მანეთი, იყიდა კაი ცხენი და გასწია ქალაქისაკენ. იქ იმ კაცმა, რომელმაც საბუთები ჩააბარა, უთხარა: საბუთები გაგზავნილია და ორი სამი თვის განმავლობაში მზათ იქნებოა. აღტაცებულმა იასონმა მაშინვე მისცა მას აღთქმული ოც-და-ათი-თუმანი და დაბრუნდა სოფელში.

— ქალა! ჩვენი საქმე, მადლობა ღმერთს, კარგათ მიდის, —საბუთები სამი თვის განმავლობაში მზათ იქნება და მერე ხომ... კაცმა თუ დახარჯოს ბარემ სასარგებლო საქმეში უნდა დახარჯოს!..

— რა ვიცი, სასარგებლოა თუ უსარგებლო? სასარგებლოს ჯერ ვერაფერს ვხედავ და მგონი არც მერე იქნეს რამეო—უპასუხა ცოლმა.

— ჰეი, ჰეი დედაკაციო! შენ რა იცი რა იქნება!

— რა იქნება და... ი ბოვშს რომ ხელი გაუწყეთ და სხველა შევასრულებოთ, ის გზობა! ეს ერთი წელიწადია, რაც ამ საქმეებში ვაბი, იმ ბოვშზე ძალიან ხელ-აღებული ვართ: ევლარც თვალყურს ვადევნებთ, სტავლობს ჩასქმ თუ არა... სულ

ამ საქმეებს უნდები... ამას რომ თავი დანებო და ი ბოვშს ხელი შეუწყო, ის ჯობია მე ვიცო...

— სუს, სუს! გააწვევინა სიტყვა იასონმა: დედაკაცებმა ნაცარში როგორ რა ჯობია, ის იცით, სხვა არაფერი! ხუმრობა საქვე! სხვა სისხლი, სხვა ანგარიში... ხომ გავიგონია; „გაუთლელი ჯობს ალმასს ცთობილს ფირუზანასო!“

— მერე რა?

— რა და—ჩვენი შეილი, რაკი აზნაური იქნება, თუნდა უსწავლელიც იქნეს, მაინც აჯობებს „გაუთლელი ფირუზანს“, —ნასწავლ გლეხს! ხომ იცი ეს შენ?...

ამ დროს ვიღამაც დაიძახა. იასონმა გაჰხედა, შემობრუნდა და თან შეილის წერილი შემოიტანა.

— ვინ იყო ის კაცი? ჰკითხა ცოლმა.

— ნესტორა იყო ჩვენი ე წიგნი წამიკითხე ერთი, რა წერია შივ. იასონმა კითხვა არ იცოდა და ცოლმა —ქეთომ—წაიკითხა:

„ძვირფასო მშობლებო! მე კარგათა ვარ, ძალიან საჭიროა და ოც დახუთი მანეთი გამომიგზავნეთ. —ოცი მანეთი სწავლის ქირა უნდა გადაიხადო და ხუთი მანეთიც წიგნების ფასათ შვირღება.“

თქვენი ბაბუ.

იასონი ოცი თუმანი რომ თხოვეს საბუთებზე გადასწერათ, მონაღი, მაშინ არ შეწყებებულა ისე, როგორც ახლა, „სად ჯვანაბაში ვიშოვო ახლა მოცდა-ხუთი მანეთი?!“. კიდევ ადგილი გვაყვლიდა?! აბა ი ხუთასი მანეთი მთლათ ის საქმეებს უნდებო: ზოგი სათარგმნი, ზოგიც მარკების უფლი და სხვა...

იასონმა სხვა ევლარაფერი მოახერხა აიღო და ხუთი მანეთი გაუგზავნა და დანარჩენისა შეუთვალა, რომ მცირე ხნის განმავლობაში იმასაც გამოიგზავნიო, — ასე უთხარი მასწავლებელსაცო. იასონმა ამითი შორი შორა შეილის თხოვნა და... სამუდამოთაც...

გავიდა ერთი თვე, ორი, დაღვა მესამეც—იანვარი, და იასონიც ცხენით გაემგზავრა ქალაქისკენ, საბუთებზე ჩასაბარებლათ. გაემგზავრა მაგრამ ვაი ამისთანა გამგზავრებას... საშინელი დღე იდგა, დიდი თოვლი იწე და ზედ კიდევ მეტის უმატებდა. ცივი ქარი უბრაფად, ხვედრად თოვლის და მუქა მუქა აყრიდა პირში იასონს. კიდევ დაღამდა. ქალაქი ჯერ ძლიერ შორს იყო და სოფელიც არსად ჩანდა მახლობლათ. თოვლით შეფიქვლილი იასონი ძლივსა მაგრდებოდა ცხენზე! ეს უკანასკნელი საშინელი წვალებით აპობდა თოვლს და ის მიჰყავდა თავისი პატრონი, მაგრამ მეტი სიარულიც აღარ შეიძლებოდა.

დაბნეულა ისე, რომ კაცი თვალში თითს ევლარ მიიტანდა! იასონმა გარდსწვივტა ღამის გასათევთ სის ძირში დამდგარიყო და დაღვა კიდევ.

ტაროსი თანდათან მძაფრდებო. ქარი საშინლათ ზუზუნებს და გაშიშვლებულ ხეებს საცოდავთ აყენებს. იასონი ცხენს ეხვევა კისერზე, იქნებ ცოტა გამათბოსო, მარა ამაოთ! გვიდა ხანი და იმ ადგილს სადაც იასონი დაღვა იმ საწველ ღამეს, მგზავრებმა კედარი ცხენი და მის გვერდით მკედარივე კაცი ოპოვნეს, საბრალოებს ერთმანეთისათვის კი.კრი გადუქლათ და ისე დაელოათ სუც ი.

საბრალო კეთოც იმ საშინელ ზამთარში გაცივდა და წუთი სოფელს გამოეხალმა. იასონის საბუთების ამბავი აღარაჲინ იცოდა, რაკი იასონი აღარ იყო, მისი საბუთებიც საღლაც გაქრა. ვინ იცის, იქნებ იმ საბუთებით სხვა ვინმემ ისარგებლა...

დ. თომაშვილი.


(შედეგი იქნება)

შეცდომის ბასწორება.

წასული ნომრის მე-167 გვერ. უნდა იყოს: ხალხთან ერთად კატეგორიებში მოთავსებას.

იქვე მარჯვნივ: „მებრძოლ ელემენტებს თავის განებაში არც არივებს და დადრც სხვა ვინმეს არწმუნებს; რომ ეს შერიგება ნამდვილი რეალურიო“.

ცოტა ქვეით უნდა იყოს: ეს ინტელიგენციის ნაწილი მკენიერებას სიტყვით ისეთი მოძღვრების შემქნელია, რომელც შეგნებული გამოთქმა ბეგრ საგუნგოებს განმავლობაში შეგუნგ ღათ განგითარებულ ისტორიულ მრგვისს.



გამოვიდა საბავშო წიგნი

**„პატარა ლორდი“**

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წერეთლის

შასე 30 კაპ.

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში და თეთი ჯეჯილის რედაქციაში.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლის.



საპლიტიკოს, სამეცნიერო და სალიბერალურ ნახაზიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს  
 დამატებითი ნომერი **ივლისი 16 1898 წ.** დამატებითი ნომერი

შინაარსი: უპროტექციო შიშნობა ივანე შჭელიშვილისა. — ქუთაისის ბანკსა და კვამი განცხადებებს.

„უპროტექციო“

(ნათარგმანი)

სულის სნეულებით შეგყარობითა საეთმყოფოში წვედი, მხოლოდ იმისთვის, რომ მენახა ერთი ფრიად საინტერესო აეთმყოფი.

ეს აეთმყოფი იყო სულ ახალ-გაზდა, ჯანამთელი და წარმოსადგვი ეთ-აკი. შევეყურებდი მის სიუცხლით საესე სახეს და არა მჯეროდა, რომ იგი სულით აეთმყოფი, საუკუნით გონება შერყეული იყო. — ხასიათი რაღაც უცნაური აქვს, მიამბო საეთმყოფოს მკურნალმა, მეცნიერებას ჯერ არ გამოუგონია მაგნიჩო აეთმყოფობის სახელი. უფრო, შეიძლება, ეწოდოთ პროტექციოფობიით.

— რაში არის ეგ უცნაური აეთმყოფობა?

— შეუპოვობა! ამ სნით შეგყარობილი დიდი მოწოდება გაციკლიოს ცხოველების გზა და გაითქვას საზოგადოებაში სახელი მხოლოდ „უპროტექციო“, სხვის დაუხმარებლად.

— აი, ამისი ამბავი — დაიწყო ექიმმა და მიამბო

შემდეგი: ამ ყმაწილ კაცს, სულ რაღაც წელიწადია, რაც გაუთავებია უნივერსიტეტში სწავლა და ჩამოსულა პეტერბურგში იმ აზრით, რომ სამსახური რამ ეშოვნა. უმადლესი აზრებით და იდეებით გამსჭედილი

ყმაწილი კაცი არამც თუ შეეცადა „არეკომენდაციო“ წერილების მოენას, რომელიც აუცილებელი საჭიროა ადგილის შოენისათვის, არამედ მკაცრით აღიარა; რომ მე არა მსურს სხვისი დახმარება, სხვისი პროტექცია. არა მსურს არავის მოვალეთ დავრჩე — გადაწყვეტილ ამბობდა ყმაწილი კაცი, — და იმედოცა მაქვს, ზემი გულწრფელი სურვილით ვემსახურო სამშობლოსა და საზოგადოებას. საქმეა, რომ ვიშოენა ადგილი, თანამდებობა სამუშაო... ნაწინაობნი და ამხანაგები ბერეს ცდილობენ, როგორმე ჩაენერგათ „იდელური“ ყმაწილი კაცისათვის, რომ ეს საუკუნე იმისთანაა, რომ უპროტექციოთ კაცი ვერსად ვერას გახდებოა, მაგრამ ამ რჩევას ყურსაც არ უგდებდა.

მიმართა ერთ დაწესებულებას, მეორეს, მესამეს და ყველაგან ცივი უარი მიიღო. საწყალი, თვით დარწმუნდა, რომ ადგილებს მხოლოდ მათ აძლევენ, ვინც გამოყვეჩებულა, სრული უნიჭო, ვინც უფრო პირში მაქებელია, ზურგს უკან მლანდველი, ოღონდ კი ძლიერი პროტექცია ჰქონდეს და კეშირი ბობოლეობან; ამას კი ან პირდაპირ უარს უცხადებდენ, ან ტყბილი იმედობთ ანუკეშებდენ ადგილის მიღებაზე....

მან შეადგინა ეკონომიურ საკითხზე პროექტი, რომელიც იმ დროს აუცილებელი საჭიროება იყო კავშირის წარმატებისათვის. ამ პროექტს საჯანო

ს. მარტისა



ჰკონდა "გამოჩეკვია ახალი რამ ახრი ეკონომიურ სფერაში. მშრომნი წარადგინა, სადაც ჯერ არს; პროექტი მიიღეს აღტყუბით, სრული თანაგრძობობით და .. არხივენი კი ამოაყოფინეს თავი. ხართლაცა ძალას ხომ არ? ღაღინდენ, არ შეიწუხებდენ თავს და არ შეუდგებოდენ განხრეკას და აწონ-დაწონას ეილაც ახალგაზდა, უწინაბი, ყმაწვილი კაცის პროექტი-სას. ყველა ასე ფიქრობდა: მას არც "რეკომენდაცია" აქვს და არც ჯეროვანი "პროტექცია".

ასე ჩაქრა ნაშრომი, უბედური მოიდელესი, თუმცა შემდგენი დარწმუნებული იყო, რომ მისი მოსაზრება საუცხოვოა...

ყმაწვილმა კაცმა მინც ფარ-ხმალი არ დაუშვა ძირს, სულით არ დაეცა. უეცრივე მოაგონდა ღ და-რწმუნდა, რომ, აი, ახლა კი მივალწვე ჩემ მიზანს: „ნუ თუ იმ წმინდა ხელოვნებაში, როგორცა ახის სცენა, კაცს პროტექცია დაჭირდება? უნივერსიტეტ-ში მეტ სახელს „არტიტს“ მეძახდენ, რადგან სტუ-დენტების წარმოდგენაში პირველ როლებს ეთამა-შობილი. აბა, შეგვეცდები და გამოვცდი ჩემ თავს: იქნება, ამით მაინც მოვუტანო სამშობლოს სარგებ-ლობაო! — თქვა და გაცქანა თეატრის დირექტორთან, რომელსაც თავისი სურვილი გამოუცხადა.

— მაშ თქვენ ბძანებთ, რომ უნივერსიტეტში პირველ როლებს თამაშობდით და უფრო პრემიერებს? — დაიბ, ბატონო დირექტორო.

— გყავთ ვინმე აქ გამოჩენილ პირთაგანი, ან ნათესავი, ან ნაცნობი? აი, მავალითხ ხომ არ იცნობთ თქვენ ბარონესსა —ს, მუღან ლიტერ-ნი ოლტაში რომ დაბძანდება? ან გრაფინა კ—ს, მთელ წლიურ ამონებენტს რომ იღებს ხოლმე? ან ტ—ს? ან ე—ს ხომ არ იცნობთ?

— არა, ბატონო, არ ვიცნობ და არც მსურს მათი გაცნობა, ან რა საქირაო?

— არაფრათ, ისე გკითხავდით... მაშ, აი, რა წა-იღეთ ეს პიესა ვადაკოხებთ და ისწავლეთ კარლ-მოორის? როლი, მობძანდით ხუთ დღეს შემდეგ რეპეტისიაზე და გამოვცდით.

ყმაწვილ კაცს თვალები გაუბრწყინდა პიესა „გა-ზაკების“ გავრენაზე, რადგან ყველა როლებზე კარ-მოორის როლი უფრო ეხერხებოდა და ხელოვნუ-რითაც ასრულებდა სტუდენტების წარმოდგენაში.

გავდა ხუთი დღე. როლი მზათ არის, დაკვირ-ვებით შემეშუავებული და გაზგაბრებული.

აი, ჩვენი ახალ-გაზდა მსახ:ობი გამოჩნ და სცე-ნაზე გამოსადგლათ. უეცრივე მსახ:ობით შორის ჩა-ვარდა ჩურჩული: „ვინ არის?“ „სადაურია?“ „რა როლებზე არის?“ ქალვამა გადახედეს ერთმანეთს და ნერწყვის ყლამით წაიჩურჩულეს: „რა ღამაშაო!...“

დირექტორმა, ჩვეულებისამებრ, გააცნო ყვე-ლას.

დაიწყო რეპეტიცია, გათავდა პირველი მოქმე-დება ტრაგედიის „გაზაკების“. დაიწყეს მეორე მოქ-მედება. ახლა ჩვენი მსახ:ობის რიგია.— აი, ავერ მი-ეიდა იქნობამდე, როდესაც კარლ-მოორი გამოვარ-დება მამის წერილით გაშვებულთ: „პოი, ადამიანო ადამიანო ცრული და ვერაგო! შენი თვალბი წყალია, შენი გული ქვა არის, ტუჩებზე ჰკონი და გულში კი მახეული უტარებ!“ ... და სხვა... და სხვა...

ისეთი გრძობობით და გვაძაბუტყველობით შეა-სრულა ეს მონოლოგი რომ ყველა სულ გაკმენ-დილი უყურებდა და გულში „გაშას“ გაიძახოდენ. მხოლოთ ერთი ჩასუტყებული, ფუნჩული ქალი არ იყო კმაყოფილი და სიზარხისგან ტუჩებს იცენეტდა და თითებს იმტრევედა. გათავდა მეორე მოქმედება; გაიხმა ფუნჩულამ დირექტორი კანტორაში და უთ-ხრა.

— მიხვილ პეტროვიჩ! რას შერებთ, გინდათ, რომ ისტრეცა დამეძართოს და გული შემიწუხდეს? გინდათ, რომ საზოგადოება დააფრთხოთ? ვინ არის ეგ ყმაწვილი კაცი, ესი შვილია, იციო? ან იცნობს ვის-მეს? როგორ? შეიძლება მაგისი სცენაზე გამოშვება... — რატომ, ჩემო კუგრუმეღავ, ნიკაზე ხელის ამოკერით უპასუხა დირექტორმა, — შეენიერი არტი-ტი დადებია.

— მეჩე ჩემმა ქმარმა რალა უნდა ქნას, რომ ეგ საზოგადოებას აჩვენოთ, ხომ სულ ძალღათაც აღარ ჩაავლებენ. ჩემო, სულიკო, მიშვილე და არ გამოუ-შვა მაგ ბოლში. ე. ი. სრულიად ნუ მიიღებ, თო-რემ ხომ იცი, გავებუტებთ, ვადავინდა და აკოცა დი-რექტორს; დირექტორმაც თავისი მხრით მოჰხვია ხელი და დაუმატა:

— ოლონდ შენ გესიამოვნოს და გინდა სულ ყველას დაითხოვი!

— ჩემო კარგო, ჩემო გვირბო, ერთიც აკოცა; გაიტქა და შეგირა ამხანაგებში, ვითომ ღ არაუფერიაო!..

— აქ მობძანდით, დაუძახა დირექტორმა ყმა-წვილ კაცს: აი, ჩემო კარგო, ძალიან კარგი და ძლი-ერი ნიჭი გაქვთ, მაგრამ, რადგან პროტექცია და რე-კომენდაცია არა გაქვთ რომელმე გამოჩენილი პი-რისნაგან, ამიტომ თქვენი მიღება არ შემიძლია. ყმა-წვილი კაცი დალონებული გამოვიდა თეატრიდან და თან ბუტბუტებდა: „ყველაფერს მოვიფიქრებდი და ამას კი არა, რომ სცენისთვის, ლთაფირივი ტაძრი-სათვის, პროტექცია დამპირდებოდაო!“

ყმაწვილმა კაცმა, მინც კიდევ არ გაატება გული, მინც კიდევ არ დატოვა ბრძოლის ველი და ვადაწყვიტა უქველათ დაადგეს იმისთანა სარ-

ბიელს და გამოცდის თავის ძალ-ღონე, სადაც, როგორც არწმუნებდნენ, არ საჭიროებს არც „პროტექცია“, არც „რეკომენდაცია“, არც კავშირი, იმასთანა სარბიელს, სადაც მხოლოდ ნიჭი მიქმედობს, ტალანტი მეფობს! ამას ჰქვია „სალიტერატურო ასპარეზი!“

ახალ-გაზდა მოიძვალე შეუღდა გულმოდგინეთ დღე და ღამ, დაუსვენრათ სალიტერატურო მოღვაწეობისთვის მზადებას, რომელთაც სულ ახალ, სასარგებლო საჭირო და ვერ არვისგან ცნობილ საკითხებს ეხებოდა. განიელს კვირებმა, თვეებმა და, აი, ავტო ნაშრომი მზით არის! ახლა მარტო ის ლა და-რჩენია, რომ წარადგინოს რომელსამე ჟურნალში დასატამბათ. იგი დარწმუნებულია, რომ სალიტერატურო ასპარეზი ერთად ერთი იმ ასპარეზთაგანია, სადაც სრულგებობა არაა საჭირო პროტექცია.. მაგრამ საუბედუროდ ჩვენი ახალ-გაზდა, მოიძვალე აქაც მოტყუედა. ერთ რედაქციაში უბასუხეს, რომ მისი ხელთნაწერი ძლიერ ვრცელა; მეორედან ისე დაუბრუნეს უკან, რომ კონვერტი არც კი გეხსნათ; მესამეში უჩინეს მოეტანა ზაფხულში და „იქნება“ სამუდამო თანამშრომლების მასალა არ გვერდეს და მაშინ დაესტამბოთო. მეოთხეში პირდაპირ გამოუტყაბდეს, რომ მხოლოდ თავისიანებისა ბეჭდვენ..

მოხუცი, კუზიანი, გამხმარ-გაყვითლებული მდივანი რედაქციისა შევიდა ყმაწვილი კაცის მდგომარეობაში, გაიყვანა კუთხეში და უჩურჩულა: „გამიგანე, ყმაწვილი კაცი, თუ გინდა, რომ შენი ხელ-ნაწერი დაისტამბოს, რომელიმე ბოზოლა ლიტერატორისაგან რეკომენდაცია უნდა გქონდესო, ან კიდევ, მოიტანეთ ხელ-ნაწერი წერალითურთ ს—სგან, ან გამოჩინილი მ—სგან და თქვენ მაშინ სულ სტენანა ვინ და დაწვეყნებ კურთხებას. ჩვენ ლიტერატურაში როგორც ყველგან, უპროტექციოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს ახალ-გაზდა მწერალი, რაც უნდა ძლიერი ნიჭის პატრონი იყოს. ეს თქვენ უნდა დამიჯეროთ!“ მე ამას ეამბობ ჩემი გამოცდილებით და ბევრი მწერე მაგალითების ნახვით. მართალია მოხდება ხოლმე, რომელიმე ახალ-გაზდა მწერალი უპროტექციოდ გაიკავებს გზას სალიტერატურო ასპარეზზე, მაგრამ ამისთანა მაგალითი ძლიერ იშვიათია. როგორც წინან ვთქვი, ლიტერატურაში და ყველა სხვა დაწესებულებაშიც აუცილებელი საჭიროებაა: პროტექცია, კავშირი, რეკომენდაცია და ბოზოლების ფეხთა მტვირის ლოკვა... ამა, თქვენ შეეცადეთ და იმოუბო რომელიმე დიდი ლიტერატორის საჩუკომენდაცია წერილი, მაშინვე დაინახავ, როგორ მოგვეტყვიან რედაქტორები; თქვენთვის გაიხსენება მოწყობის კარი და დიდების ყანასაც თქვენ მოიძიეთ!

— უთუოთ დაეთანხმა ყმაწვილი კაცი, არა? ჩავეკითხე ექმის.

— სრულგებობაც არა, სტაცა ხელი თავის ხელ-ნაწერს და ლუკმა-ლუკმით აქცია, გადაჰყარა იატაკზე და მოჰყვა საშინელ ყვირობას: „არა მსურს მე პროტექციით დიდების მოპოვება!.. გამოშვით, მე მსურს იმ ქვეყანას წაიღო, სადაც პროტექცია საჭირო არ არის, სადაც ნიჭი და ცოდნა განადგებს და წვეტს კაცის ბედ იბოლოს და არა რეკომენდაცია..“ და გამოეარდა გამაგებელი გარეთ.

— იმ საღამოსვე—დაათავა ექიმმა—უბედური ყმაწვილი კაცი მოიყვანეს ამ საავითმყოფოში.

— ბევრი გაუთ „მაგ გეარო“ აუთმყოფები?

— საბედნიეროდ არა!—მიპასუხა ექიმმა, ჩვენ დროში ძალიან ცოტაა იმ გვარი ხალხი, რომლებიც ცდილობენ გაიკლიონ გზა ცხოვრებისა „უპროტექციოდ“; არამც თუ ცოტაა, სრულიადაც არ მოიპოვება.

იგანე მჭკდელიშვიდი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წრეთელას.

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ვაჭეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოიღეს 1898 წელსავე ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თამახმდე

აჭეთი წლიურად ღირს გაუზღვენელათ 7 მანეთათ, ხოლო ვაჭუნეთ 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუზღვენელათ 3 მან. 50 კაპ., ვაჭუნეთ 4 მანეთ. სამი თეთი გაუზღვენელათ 2 მანეთ., ვაჭუნეთ 2 მ. 50 კ. თოთა ნომერი სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნათ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцова-ул. д. зем. банка № 102) და თეთი „კვალის“ რედაქციაში Артллер. ул. № 5, противъ бывшей редакції.

ქალაქ გარეთ რედაქციას ყველგან ჰყავს თავისი აგენტები.

თამარ დედოფლის დიდი სურათი (ფერად წამლებით) დღის იქით გაიყიდება „კვალის“ რედაქციაში 1 მ. 50 კ. (ვასაჭუნეი ფოსტის ხარჯი 30 კ.)

„წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში იყიდება ახალი წიგნი.

ლ ე ქ ს ე ბ ი ე ლ ლ ს

თსუფუბა განჯეგი დისა.

ავტორის სურათით. ფასი ზოი შუკრა (გვგზენით თურმეტი შუკრა). ეინჯ ათ ცალს დიბარებს—წიგნი ცსრა შუკრათ დეთმობა, რუ-და-ხუთ ცალს—რ. აასხათ.

(3—3)

ჯეჯილის გამოსვლა

# ზანგი და თეთრი

შეიდი ცნუივარეფული ნახატით.

ფასი 1 ჯან, ხოლო სანქსონო, ვანაუან ელბი, ელი-რება 1 მან. იფილება „წერაკითხვის საზოგადოების“ წიგნი-საცემში და „ჯეჯილის“ რედაქციის.

თანახმით მათი ყოველად უსამღვდელო სობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის სეპარკიცია რჩევამ, 17 ოკტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილოა უფრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარკიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ბილის ექიმი

# ვ. ი. ქიქინაძე

მინეილოვის ქუჩა, № 81 სახლი, დ. სლი-ვიციისა. ავთმეყოფებს მიიღებს დილით 8—1 ს. და საღამოათი 5—8 საათამდე.

საბავშო წიგნი

## „პატარა ლორდი“

ჯეჯილის რედაქციის გამოცემა

თარ. ელ. წერეთლის

ფასი 30 კაპ.

იყიდება „წერაკითხვის საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში და თეთ ჯეჯილის რედაქციაში.

საყმაწვილო ნახატებიანი ქურნული

## „ჯეჯილი“

წალიწადი ვაცხა

გამოდის 1898 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

1898 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრათ და-ურვიდებათ ნახატებიანი წიგნი „ალბომი“ ცხოველთა ცხოვერებიდან.

ქურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებთ ღირს—4 მან. ტფილისის ვარემე გავზენით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ. ხელისმოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახეჯარი წლით.

ხელისმოწერა შიილება:

- 1) თფილი ისში—წერაკითხვის საზოგადოების კანცლოზარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), და თეთ ჯეჯილის რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, против бывшей редакций).

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლის